პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ნოემბერი პარასკევი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 264 (15477)

ხუთწლედი—ვადამდე!

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს—აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პროდუქციას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. დღითიდღე უმჯობესდება აქ დამზადებული ქსოვილების ხარისხი, ფართოვდება ასორტიმენტი. ეს იმის შედეგიც არის, რომ დიდი ყურადღება ექცევა მომავალი მრთველებისა და მქსოველების აღზრდა-დოსტატების საქმეს. № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები საწარმოს ნოვატორი მუშებისაგან იძენენ გამოცდილებას, ეუფლებიან პროფესიებს.

□

ხურათებზე: მარჯვნივ—მარინე ბიგანიშვილი. მართალია, იგი ჯერ მხოლოდ საწარმოო პრაქტიკას გადის საქსოვ საამქროში, მაგრამ უკვე დაეუფლა მქსოველის პროფესიას; ქვემოთ — გამოცდილ მქსოველთან, ლეილა ნადიბაიძესთან იძენს ოსტატობას ახალბედა ირინე სოდიშვილი.

ბ. საპარმის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დამკვრელურ შრომითს ვახჯზე

ზეგეგმითი ეშელონები

ტყიბული. (საკ. კორ.). მოძმე რესპუბლიკებისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი (დირექტორი ბ. პატარიძე). მეშახტეებმა 12 დღით ადრე შეასრულეს „შავი ოქროს“ მოპოვების ათი თვის დავალება, წლის დასაწყისიდან სამშობლოს მისცეს 50 ეშელონი ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი.

აქ უბანი უბანს ეჯიბრება, ბრიგადა — ბრიგადას, მეშახტე — მეშახტეს. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში კი პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები არიან. საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს საექსპლოატაციო უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ბ. ჩაფიძე და რ. კიკოლაშვილი უძღვებიან. მეშახტეები თავდადებით შრომობენ ნოემბერშიც, რომ ახალი წარმატებებით შეეგებონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ვ. ცირეკიძე.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების უმრავლესობა კარგი შედეგებით შეეგება სსრ კავშირის ოქტომბრის დღესასწაულს. ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა როგორც მიმდინარე წლის ათი თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალება, ისე საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შესრულა. ერთმანეთს პირველობას ეცილებიან შაბიამნის, მიკრობარიტის, ლითოფონის, სალებავების, ლაქემალების საამქროთა კოლექტივები.

გეგმის ზევით ათ თვეში რეალიზებულია 840 ათასი მანეთის პროდუქცია, — ასეთ შედეგს მიაღწიეს სამკერვალო გაერთიანებაში. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 107,4 პროცენტით შესრულეს.

რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალებები გადაჭარბებით შესრულეს ელექტრომექანიკური, მეცრეგებარიტაციი ტრანსფორმატორების, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა, მინის ტარის ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გილათის“, მაუდის, ტრიკოტაჟის ფაბრიკების, პურისა და წისქვილის კომბინატების, ბარიტის მაღაროთა სამმართველოს და სხვა საშრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა.

დ. გედენიძე.

უზრუნველყოთ 1973 წლის უხვი მოსავალი

ქალაქი სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს სოფელს

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ვალდებულებანი

თბილისს ლენინის რაიონის ფაბრიკების, ქარხნების, დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მიღებაში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში. სოფლის შრომელებთან რაიონის საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივების საქმიანი კავშირურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოების ახალი მკაფიო დადასტურებაა ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს საშემდგომო მინდვრის სამუშაოთა დამთავრებისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის მზადებისადმი მიძღვნილ კრებებზე.

ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ზიარეულწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აუშენოს შენახვრის სახელონი ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის შესაკეთებლად, კალო, რომლის ფართობი სამი ათასი კვადრატული მეტრი იქნება, მინერალური სასუქების ნაწილი.

ბორის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წლის დამლევამდე გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში შეასრულებს სხვადასხვა სამუშაოებს მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობისათვის.

„თბილელექტროაპარატში“ საწარმოო გაერთიანებამ ვალდებულება იკისრა გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ შეაკეთოს ელექტროძრავები და ელექტროაპარატურა, დაამზადოს სხვადასხვა დეტალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად.

სოფლისათვის საშიფო დახმარების გაწევის გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს რაიონის სხვა საწარმოებმაც, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. მათ გადაწყვეტეს ღუმეთისა და ორჯონიკიძის რაიონების მეურნეობათა საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის საჭირო ობიექტებისათვის გამოჭყონ სილიკატური აგური, ცემენტი, სხვადასხვა პროფილის არმატურა, დახვრეული ხე-ტყე, სახურავი რკინა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ლიმონის მოლები, შიშველი, კოლეფთილენის აფსკი და პარკები. ეს მასალები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადაეცემათ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მუშაობის პროგრესული მეთოდების გამოყენების შედეგად მიღწეული ეკონომიის ფონდიდან.

რაიონის შრომელებმა გადაწყვიტეს დადგენილი დავალების გადამეტებით შეასრულონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი 100 სატვირთო ავტომანქანა, 20 ტრაქტორის ძრავა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები, ელექტროაპარატურა, ელექტრო და მექანიკური აბრეგატები, სარემონტო სახელოსნოთა ჩარხები და მოწყობილობა, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ მეფრინველეობის ფაბრიკების, სხვადასხვა დამხმარე ნაგებობის მშენებლობაში, მოაასფალტონ სასოფლო გზები, კაპიტალურად შეაკეთონ სასკოლო შენობები.

მოსავლის აღების დღეებში დუშეთისა და ორჯონიკიძის რაიონებში გაიმართება შაბათობები, მოსავლის გადასაზიდად ეგზავნება 150 სატვირთო ავტომანქანა.

დასახულია კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა გაფართოებული გეგმა: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეწევიან საგიტაციო-მხატვრული ბრიგადები, საწარმოებსა და დაწესებულებების თვითმოქმედი კოლექტივები, გაიმართება ქალაქისა და სოფლის ფიზკულტურელთა ამხანაგური შეხვედრები.

დიმიტროვის სახელოგნის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ვალდებულებანი

ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლები საშიფო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხშირი სტუმრები არიან, ყოველმხრივ ეხმარებიან მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. დიმიტროველებმა დიდი წვლილი შეტანეს საშიფო სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის და თელეთის მერძევეობის კომპლექსში მეცხოველეობის პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში. საწარმოს კოლექტივმა განიხილა თავისი შესაძლებლობანი, გამოძებნა რეზერვები და გადაწყვიტა საშიფო დახმარება გაუძღვიროს სოფელს. მილებულია სამუშაოთა გაფართოებული გეგმა, სამუშაოთა მიზანია ხელი შეუწყონ სოფლის შრომელთა ბრძოლას ხუთწლედის მესამე წლის უხვ მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. გადაწყვეტილია დაამზადონ და თელეთის მერძევეობა-მებოსტნეობის კომპლექსში დადგან სპეციალური გალიები ხბორებისათვის; ლეგბორნები ასაფეხო ფეხა რძიანი პირუტყვისათვის, ბუნკერები. მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაკეთებელი სახელოსნო და გაამყონ მისთვის საჭირო მოწყობილობა და იარაღები. შეასწავლონ კომპლექსის მუშათა ჯგუფს ზეინკლის, ელექტრიკოსის, შემდუღებლის, მეჩარხის სპეციალობანი, დაამზადონ თელეთისა და სართიჭალის მეურნეობებისათვის მანქანების სათადარიგო ნაწილები.

ქარხანამ ბევრი რამ გააკეთა მეფრინველეობის განვითარებისათვის. აქ დაამზადეს და მეფრინველეთა ფაბრიკებსა და ფერმებს გადასცეს ორი ათასამდე გალიის ბატარეა კბ-1 მოქცეულის ჯგუფური მოვლისათვის. ბატარეები აღჭურვილი არიან საკვების ჩამოსასიგანებელი, კვერცხის შესაგროვებელი, ავტომატურ-ავტომატური მეჭანიზმით. თვითეული ბატარეა განკუთვნილია 2350 ქათმის ერთდროული მოვლისათვის. დიმიტროველებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს მეფრინველეობის ფაბრიკებსა და ფერმებს საჭირო რაოდენობით მისცენ გალიის ბატარეები. მეგობრობის ფერმებისათვის ისინი დაამზადებენ 60.500 გალიას.

ქარხანა იხმარება მეჩაიებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს. დამზადებულია 33 ჩაის დამსარისხებელი მანქანა, შეიქმნა ჩაის ფოთლების საჭრელი აპარატის საცდელი ნიმუში. ახლა საწარმოს მუშაკებმა და სპეციალისტებმა ვალდებულება იკისრეს გამოშვან ხელის ჩაისსაკრეფი მანქანების სერია მთის პირობებში სამუშაოდ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნისათვის დამზადებული იქნება 60 ათასი მანეთის მანქანების სათადარიგო ნაწილები.

ქალაქ რუსთავის საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივების ვალდებულებანი

რუსთაველმა მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა, აშენებლებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქმიანი კონტაქტები დამყარეს სოფლის მშრომელებთან და წარმატებით შეეფინენ საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, ხიდისანის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამწესებულებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ხიდნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მარაბაძის სახელობის კოლმეურნეობას შეეფინენ, დაეხმარნენ მეურნეობას მეცხოველეობის ფერმისა და მემინდვრეობის სამუშაოთა პროცესების მექანიზაციაში. მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის კოლექტივი ეხმარება გარდაბნის რაიონის ჯანდარის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასა და საგარეჯოს რაიონის შელორეულის კომპლექსის მშენებლობას თანამედროვე მექანიზებულ მეურნეობათა შექმნაში. ტრაქტორების, კომბაინების დეტალების და სხვა ტექნიკას აწვდიან გარდაბნის რაიონის მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. ათობით სახელოწოდების ნაკეთობა გაუგზავნა სასოფლო-სამეურნეო საშუშაოთა მექანიზაციისათვის საგარეჯოს რაიონის საშიფო მანავის საბჭოთა მეურნეობას მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა.

სასოფლო-სამეურნეო საშუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის ახალგაზრდობა. მოსავლის აღების გასწორებულ დღეებში რუსთაველ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ნახავთ მინდვრებში, ისინი ეხმარებიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. ამ დღეებში, ნაბამართა კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობა დევიზით „ქალაქი — სოფელს“, რომელიც დიდი ოქტომბრის 55 წლისთავს მიეძღვნა.

ფარეთოდენა ქალაქის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საშიფო კავშირურთიერთობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან. ამას მოწმობენ ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი მანავის საბჭოთა მეურნეობას გამოუყოფს ნაშენ მასალას საწარმოო და საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობისათვის, მოაწყობს აგროქიმიურ ლაბორატორიას, დაეხმარება სასმელი წყლით მუშათა დაბის უზრუნველყოფაში. ქიმიური კომბინატის კოლექტივი დაეხმარება გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის საბჭოთა მეურნეობას სამუბრის მეურნეობის მშენებლობაში. ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საშიფო მუშაობის გეგმით გათვალისწინებულია გარდაბნის რაიონის მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნას მექანიკური სახელოსნო, ტრაქტორების პარკი. ბევრი რამის გაკეთებას აპირებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები.

ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის ვალდებულებანი

საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქვეყნის ერთიანი სახელმწიფო აგროქიმიური სამსახურის ორგანიზაციისათვის. ამ სამსახურში შედიან ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები, რომლებიც ადგენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების აგროქიმიურ კარტოგრამებს. ლაბორატორიის მუშაკები ამუშავებენ რეკომენდაციებს სასუქების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, ამასთან ითვალისწინებენ ნიადაგ-კლიმატურ პირობებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თავისებურებებს. აგროქემიურ ლაბორატორიათა საქმიანობა მიზნად ისახავს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას, უხვი მოსავლის მოყვანას.

საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელ ქარხანაში დამზადებულია ხელსაწყოებისა და მოწყობილობის პარტია ნიადაგების სწრაფი და მასობრივი ანალიზისათვის. ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა ატომური აბსორციომეტრი მთელ რიგ მიკროელემენტთა სწრაფად განსაზღვრისათვის. სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში მოიწყო სრულიად საკავშირო კურსები ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების მეხელსაწყოე ტექნიკოსთა მოსამზადებლად.

შემუშავებულია ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავამუშავოთ ელექტრონული გამოსათვლელი მანქანით ნიადაგების ანალიზების შედეგები და თვითეულ მეურნეობას მივცეთ კონკრეტული რეკომენდაციები ამა თუ იმ კულტურის ნათესებში შესატანი სასუქების დოზებისა და სახეობის შესახებ. ელექტრონული გამოსათვლელი მანქანით ინფორმაციის დამუშავება საშუალებას გვაძლევს ბევრად დავაჩქაროთ საჭირო მონაცემების მიღება.

სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსა და ხაიდელი ქარხნის კოლექტივებმა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან თანამეგობრობით დასახეს განსახორციელონ კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ეს სამუშაოები შესრულდება თელეთის მერძევეობის კომპლექსის ბაზაზე. აქ დასახულია შექმნან სილოსის ჩაღებისა და კოპავსის და ტრანსშეიებში შენახვის პროცესების მისი ხარისხის კონტროლის სისტემა; შექმნან ხელსაწყოები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტექნოლოგიური კონტროლისათვის, რძის ცხიმიანობისა და ყურძნის შაქრიანობის განსაზღვრისათვის. უახლოეს ხანში წარმოებაში დაინერგა რძის მჟავიანობის განსაზღვრა, ნიადაგის დამლაშებისა და მჟავიანობის განმსაზღვრელი ხელსაწყოები და სხვ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლექტივის ვალდებულებანი

ინსტიტუტის კოლექტივი სოფლისადმი შეფობის წესით თავის ექსპერიმენტალურ ბაზაში დაამზადებს მის მიერვე შექმნილ ბუნებრივ შენაერთთა ლიფოსნოლიპიდების პარტიას და გადასცემს მათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ვაზისა და ხეხილის ქლორიოზის, „ჭიხურის“ ჯიშის ვაზლის ხეების ხმობისა და რეკანის ჭვნობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინსტიტუტი გადასცემს ტექნიკურ მონაცემებს ბუნებრივ შენაერთთა ლიფოსნოლიპიდის სამრეწველო წარმოების მოსაგვარებელი დოკუმენტაციის შესამუშავებლად.

დამთავრდა ინჰიბირებული ზეთის ემულსიის საწარმოო გამოცდა, რომლის შემადგენლობა შემუშავებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად. ეს პრეპარატი ფრიად ეფექტიანია მანდარინის ნარგავთა მავნებლებთან ბრძოლის დროს.

სტაყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი მიიღებს ტექნიკურ მონაცემებს ტყიბულის მავნებლთა — ლაფანქვამიის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის წარმოებისათვის, რომელიც შეიმუშავეს ფიზიკური და ორგანული ქიმიისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებმა.

ინსტიტუტის კოლექტივი საშიფო დახმარების წესით ვალდებულებას კისრულობს შეიმუშაოს ფრინველის გამოსაკვები მაღალკალორიული კონცენტრატის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაკებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მუშაობენ იოანეებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საკავშირო მშენებლობის აქტიური მონაწილე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ წევრი

ᲩᲝᲥᲝᲚᲘ ᲜᲝᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲥᲕᲐᲩᲐᲮᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝᲑᲗ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

ᲧᲝᲕᲔᲚ ოქტომბრის დღესასწაულს თავისი ნიშანი, თავისი განუმეორებელი ელფერი აქვს. დიდი რევოლუციის ორმოცდამეთხუთმეტე წლისთავი საბჭოთა ხალხმა განსაკუთრებული ზეიმითა და სიხარულით აღნიშნა: იგი დაემთხვა ღირსსახსოვარი თარიღის — სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს წინა დღეებს. ოქტომბრის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ცხოვრების ძირფესვიან გარდაქმნას მეცნიერული კომუნიზმის პრინციპებზე, მძლავრად დაარჩარა ჩვენი ქვეყნის განვითარება. საბჭოთა ხალხების გაერთიანებამ ძმურ სოციალისტურ ოჯახად პირდაპირ განაგრძო ოქტომბრის საქმე, დასახა ეკონომიკის აღმავლობის, სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა რევოლუციური გარდაქმნის ახალი შესაძლებლობანი. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებით საბჭოთა ხალხმა ცხადყო, რომ სოციალიზმს გიგანტური ძალები მოეპოვება და კაცობრიობა ამყავს ისეთ ისტორიულ საფეხურზე, რომელიც პროგრესის უაღრესად ფართო შესაძლებლობებს ქმნის. ამ შესაძლებლობათა რეალიზაციაა კომუნისტური მშენებლობის მთელი ჩვენი დღევანდელი პრაქტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულება.

ოქტომბრის რევოლუციის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი შეუშარტად საერთო-სახალხო ხასიათისა იყო. ხაზეიმო სხდომამ მოსკოვში, სამხედრო პარადმა და დემონსტრაციამ წითელ მოედანზე, დარბაზობამ კრემლში, მანიფესტაციებმა მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში ახალი ძალით ცხადყვეს მრავალფეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა, მეგობრობა და ძმობა, შრომელთა მონოლითური შეკავშირება პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ, სახელოვანმა საბჭოთა მეომრებმა გვიჩვენეს თავიანთი ნება, რომ დაუცხრომლად განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას.

საბჭოების ქვეყანა ოქტომბრის წლისთავს შეეგება დიდი გამარჯვებებით, რომლებიც დამჯერებლად მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების დიდებული პროგრამა თანმიმდევრულად ხორციელდება. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის გაჩაღებულმა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ გააძლიერა მასების შემოქმედებითი ინიციატივა, და მილიონთა დამკვრელური შრომას მნიშვნელოვანი ნაყოფი მოაქვს.

ოქტომბრისშემდგომ წლებში სამყარომ მთლიანად იცვალა სახე. ოქტომბრით დაწყებული რევოლუციური პროცესის მსვლელობაში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ ხალხები, რომლებმაც მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა შექმნეს; კოლონიურ იმპერიათა ნანგრევებზე წარმოიშვა ეროვნული სახელმწიფოები, რომელთაგან ბევრი დაადგა დემოკრატიული გარდაქმნების გზას, მიიღო სოციალისტური ორიენტაცია. სსრ კავშირის უმაღლესი ავტორიტეტი, მისი ლენინური საგარეო პოლიტიკის ძალა და ცხოველმყოფელობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამისათვის უართო მხარდაჭერა დამჯერებლად არის შეფასებული საბჭოთა ქვეყნისადმი მისალმებათა ნაკადით, რომლებიც ამ დღეებში მოდის საზღვარგარეთიდან. ჩვენი პარტია, მთავრობა, საბჭოთა ხალხი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განამტკიცონ მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, გააფართოონ და შეაკავშირონ ანტიიმპერიალისტური ძალების ფრონტი, იბრძოლენენ სახელმწიფოთა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების გამარჯვებისათვის, მათი მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ურყევად დაიცავენ მშვიდობის საქმეს.

დიდი ოქტომბრის ორმოცდამეთექვსმეტე წელი რომ დაიწყეს, საბჭოთა ადამიანები რევოლუციური ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს. მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებს, ჩვენი მრავალეროვანი ხალხი მტკიცედ მიდის წინ ოქტომბრის გზით — კომუნიზმისკენ.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

პარტიული ცხოვრება

თვითკრიტიკა დაივიწყეს

საქანგარიშო-საარჩევნო კრებები კარტიულ ორგანიზაციებში

Rეგიონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდ მოთხოვნებს უყენებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემას. ყრილობის მიერ მიღებულ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ნათქვამია: „ხუთწლეულში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში გავადიდოთ სულ ცოტა ერთიორად, ხოლო სოფლად — 2,8-ჯერ“. შესაბამისად თელავის რაიონში ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრები მეცხრე ხუთწლედის ბოლოს 1.450 ათას მანეთს მიაღწევს 1971 წელს გათვალისწინებული 623 ათასი მანეთის ნაცვლად.

ამ სერიოზული ამოცანის შესრულება საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების, მთელი კოლექტივის დაბალულ, მიზანსწრაფულ მოქმედებას მოითხოვს.

სწორედ ამ საკითხზე გაიმართა ფართო სხა-ბაასი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში ამ მოეწყო. მოხსენებელმა — პარტიული ორგანიზაციის მიურის მდივანმა გ. მიქელაძემ დაწვრილებით ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე და აღნიშნა უშუალოდ წარმოებაში დასაქმებულ კომუნისტთა ავანგარდული როლი საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამასთანავე მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა სამქიანობა მთელი რიგი საამქროებისა, რომლებიც სისტემატურად ჩამორჩებიან და ვერ ასრულებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ ასე არ მოხდა. სიტყვით გამოსული ლითონის დამუშავებელი წარმოების ორგანიზატორი მ. აფრიამოვი, რომელმაც 9 თვის გეგმა 18.800 მანეთის გადაჭარბებით დაამთავრა, მოჰყვა თავის მართლებას — მკაცრი ზამთრით პირველ კვარტალში გამოწვეული ჩამორჩენა აქამდე ვერ გამოგვისწორებია და ალბათ ვერც შემდეგ გამოვასწორებთო. მაგრამ თარს აბრალებდა სუსტ მუშაობას. მხოლოდ მაშინღა, როცა კომუნისტები ა. გურგენიძე და ს. სანაკოშვილი გამოვიდნენ და სათანადო შენიშვნები გააკეთეს, კამათი გამოცოცხლდა. კერძოდ, ს. სანაკოშვილმა აღნიშნა, რომ ყველა კომუნისტს მიეცემული არ ჰქონდა პარტიული დავალება, სუსტად იყო დაყენებული შესრულების შემოწმება. ამიტომ ზოგიერთი მათგანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. დასეიგალი არ იყო კომუნისტთა თვითნებობაზე პრაქტიკაც.

როგორც კრებაზე აღინიშნა, რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრ ობიექტში ხელოსნები ქვითრის გაუფორმებლად ასრულებენ სამუშაოებს, ამიტომ ბევრი მათგანი ვერ ანაღდებს სალარაში ფულს შეტანის გეგმას. რაიონის ყველა სოფელში არ არის გახსნილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიმე სახის ობიექტი, ხოლო იქ, სადაც მოქმედებენ ისინი, დაბალია მომსახურების დონე, ნაკლებია შემოსავალი.

რაიონში აღრიცხულია სხვადასხვა პროფესიის ორასამდე ხელოსანი, — განაცხადა თავის გამოსვლაში სამმართველოს უფროსმა ა. კირვალიძემ, — რომლებიც არსად არ არიან გაფორმებულნი და კერძო საქმეებზე მუშაობენ. მათი მიბაძვით ზოგი ხელოსანიც ცდილობს თავი აარიდოს სახელოსნოებში მუშაობას. გარდა ამისა, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს განხსნილი აქვთ ისეთი სახელოსნოები, რომლებიც კანონით ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. მაგალითად, სოფელ იყალთოში გახსნილი გვქონდა საზეინკლო-სამკედლო სახელოსნო, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის დაჟინებითი მოთხოვნით ჩამოგვერთვა იმ საბაბით, რომ ვითომ იგი მათ ესაჭიროებოდათ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად. სინამდვილეში კი იქ მომუშავე ხელოსანები ეზოს რკინის ჭიშკრებს და სასაფლაოების დეკორატიულ რკინის ღობეებს ამზადებენ. ნიტაგ რაში ესაჭიროება კოლმეურნეობას ისინი? ასევე ფორმალურად აქვთ გახსნილი სხვადასხვა სახის სახელოსნოები ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებას, სადაც ხელოსნებს მხოლოდ თავი აქვთ შეფარებული. ისინი დღეში 2-3 საათს თუ მუშაობენ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, დანარჩენ დროს კი პირადი შემოსავლისათვის კერძოდ აღებულ დაკვეთებს ასრულებენ.

კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ ქალაქ თელავში ბრკოლდება სამუშაოზე ახალ ხელოსანთა მიღება საათავსოთა სიმცირის გამო, იმ დროს, როცა მომსახურების გეგმა იზრდება. ზოგ სახელოსნოში დაბალია მომსახურების კულტურა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში სრულ უმოქმედობას იჩენდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიები, რისთვისაც ისინი კრებაზე მკაცრად იქნენ გაკრიტიკებულნი.

სამმართველოს პირველადს „პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის 53 წევრი და ერთი კანდიდატი ირიცხება. ეს ისეთი ძალაა, რომ თუ უნარიანად წარვმართავთ მათს საქმიანობას, ავამაღლებთ კომუნისტთა ავანგარდულ და დამრაზმველ როლს, მაშინ გამართულად იმუშავებს მთელი კოლექტივი. კრებამ ახალ არჩეულ პარტიბიუროს მისცა ახალი განაწესი.

ა. თვალიაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მსარს უჭერენ ხუთშაბათის ინიციატივას

ოთ-ოთ სპეკულანტებს

მახარაძის რაიონის შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრია ჩვენს რესპუბლიკაში. იგი განთქმულია ჩაის, ციტრუსების, ხეხილის უხვმოსავლიანი ბაღებით. საყოველთაოდ არის ცნობილი აქაური მუყაითი მშრომელი. ბევრია სახელმოხვეჭილი ადამიანები, რომლებიც დაჯილდოებული არიან მთავრობის ჯილდოებით (მათი რაცხვი 200 კაცს აღემატება). მათ შორის 14 კაცს მიხიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

შრომელმა კოლმეურნეებმა დიდი ინტერესით გახახილეს ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სოფლის მშრომელთა ყრილობის მონაწილეთა პატრიოტული თაოსნობა, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

შრომელები შეიკრიბნენ თავიანთი სოფლის ყრილობაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა შრომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რეზო კვაჭანტირაძემ.

მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ.

— ჩვენ, — ამბობს მომხსენებელი, — მტკიცედ გვწამს, რომ შრომელი კოლმეურნეები გულმხურვალედ მოეკიდებიან ყველა იმ ძვირფას წინადადებას, რომელიც შემოგვთავაზეს ჩვენი მეზობელი — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მშრომელებმა. ხუცუბნელთა თაოსნობა დიდი საშვილიშვილო საქმეა. არ ემართა მარტო სასოფლო-სამეურნეო გეგმები შეგასრულოთ, საქმრო ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ იმ მომხვეჭელთა წინააღმდეგ, რომლებიც არცხვენენ ჩვენი სოფლის ღირსებას, დაჩვეული არიან ფულის იოლად მოგნას.

ეი ისინიც: მამია სალია, დიმიტრი კეკენაძე, სერგო წიტაიშვილი, გივი ბაყაშვილი, სულიკო ჩოგოვაძე, კოტე ჭაკენელიძე, ნორენ კუგასიანი და სხვები, რომლებმაც აგერ 10 დღეა სოფლიდან ფარულად გაიტანეს ციტრუსების ჯერ უმწიფარი ნაყოფი და ალბათ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ რომელიმე ბაზარზე ვეჭრობენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ციტრუსების ნაყოფთან ერთად საკუთარ სინდისსაც ჰყიდიან.

არ შეიძლება ამ ტრიბუნიდან არ ითქვას ისიც, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი მამია ხმირიკი ისე გათავხედდა, რომ ბარტულ თამაშში, — ბანქოში საგუთარი მსუბუქი მანქანა „ზიმი“ წააგო ვიღაც ფოთელ ყალთაბანდებთან.

სოფლის ყრილობამ დაუფარავად დგამო უქნარები, სპეკულანტები, იოლი გზით ფულის შოვნის მოყვარულნი, ყველა ისინი, ვინც ჩირქს სცხებს, ჩრდილს აყენებს სოფელს, ხალხს.

ტრიბუნაზეა მოწონებე ბრიგადირი დანიელ კუბუსიძე, რომელმაც ხუცუბნელთა პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ პირობა დადო, რომ მისი ბრიგადის წევრები ყველა ღონისძიებას განსარისხელებენ სანიმუშო დისციპლინის დამყარების უზრუნველსაყოფად.

— სამარცხვინო ფაქტია, რომ ჩვენს რიგებში იმყოფებოდეს მოხალტურე და მომხვეჭელი — ამბობს სოციალისტური შრომის გმირი კარლო გორგილაძე — თუ კი ვისმენს სურს კარგად იცხოვროს, მდიდარი იყოს, ვინ უშლის ხელს. კოლმეურნეობაში სამუშაოს მეტი რა არის. კარგად იშრომე, და ანაზღაურებაც დიდია, რომელ პატიოსან კოლმეურნეს აკლია ფული, ქონება, სასელი და დიდება. მაგრამ ფულს ოიოი გზით, უშრომლად მოგნის მოყვარულებს ყველა გზა უნდა მოეუჭრათ.

მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა იუზა რუსიძემ ილაპარაკა საზოგადოებრივ წესრიგის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საჭირბოროტო საკითხებზე.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ შრომის ციტრუსების შემფუთავი ქარხნის დირექტორი კარლო ჯაში, საშუალო სკოლის დირექტორი რეზო ჩხაიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვახტანგ ტუღუში, საცალო გაჭრობის გაერთიანების დირექტორი ალ. მკავანაძე და სხვები. მათ ხაზი გაუსვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციისა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას, დღის წესრიგში დააყენეს, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი იმათ ასალაგმავად, ვინც პირადი გამდიდრებისათვის ჩრდილს აყენებს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს მქონე კოლმეურნეობას, მის მოწინავე ადამიანებს.

სიტყვა წარმოთქვა ორეულთვე მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აკაკი გობრონიძემ.

ყრილობამ მხურვალედ მოიწონა ხუცუბნელთა ძვირფასი თაოსნობა, აკისრა ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართა რაიონის სოფლის მშრომელებს სოფლად სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

ყრილობაზე გადაწყვიტეს, რომ წელს შრომელებმა სამშობლოს მისცენ 700 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 500 ტონისა. „აღცერთი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი სპეკულანტის ხელშია“.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გულთბილი შეხვედრა

საქართველოს დღეების მონაწილენი მოსკოვში

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დღეს მოსკოვის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო საქართველოს წარგზავნილებს. რკინიგზის კულტურის სადგურზე თავი მოიყარეს ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების წარმომადგენლებმა. საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორმა მიხაილოვმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა პარტიის ძერჟინსკის რაიკომის მდივანი აბლოგინი.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მოსკოველმა გოგონებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს. სიტყვით გამოვიდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია. შემდეგ საზეიმოდ მორთული მანქანებით სტუმრები გაემართნენ სასტუმრო „როსიაში“, სადაც საქართველოს დღეების მონაწილენი იცხოვრებენ.

10 ნოემბერს დილის 10 საათზე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ პავილიონში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღეები.

დ. მაჭავარიანი.

ცხინვალის რაიონის არცევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეხილეებმა წელს უხვი მოსავალი მიიღეს.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეგაღე ნ. ბოიამბა.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

სოციალისტური მართლწესრიგის საიმედო გუშაგი

ა. კეთილაძე.
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

□

ამ დღის წინ — 7 ნოემბერს საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრობამ უდიდესი ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 55-ე წლისთავი. დღეს ,ი—10 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში აღინიშნება სოციალისტური მართლწესრიგის ფხიზელი გუშაგის — საბჭოთა მილიციის დღე.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე დამბობილი ექსპლოატატორული კლასები, საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეწეოდნენ შეთანხმებულ ბრძოლას, იყენებენიარად მოისწრაფოდნენ შიგნიდან აეფეთქებინათ იგი, გამოეწვიათ დეზორგანიზაცია, ეთოსა, ანარქია, დაეთესათ მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი შიში და უნდობლობა.

კონტრრევოლუციური ძალები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდნენ დეკლასირებულ ელემენტებს, ხულიგნებს, სპეკულანტებს, მკელოლებს, მძარცველებს, ყაჩაღებს, ბანდიტებსა და სხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულებს.

რევოლუციის მონაპოვრთა შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდნენ არა მარტო მუშურ-გლეხური წითელი არმიის, არამედ რევოლუციური წესრიგის დამცველი სპეციალური ორგანოს შექმნას. ასეთ ორგანოდ ვ. ი. ლენინს მიაჩნდა მუშურ-გლეხური მილიცია.

1917 წლის 10 ნოემბერს, რუხეთში ბურუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობის მესამე დღეს, საბჭოთა მთავრობის დავალებით რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო დადგენილება მილიციის შექმნის შესახებ.

55 წელია საბჭოთა მილიცია მტკიცედ დგას ოქტომბრის მონაპოვრთა სადარაჯოზე. სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე, ომისა თუ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, იგი ერთგულად ემსახურებოდა ხალხს. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა **„საბჭოთა ხელისუფლების იდეების ბრწყინვალე გამტარებელს“.**

საბჭოთა მილიციის შექმნის, განმტკიცებისა და საქმიანობის ერთ-ერთი ბრწყინვალე პერიოდია სამოქალაქო ომის წლები, როცა რევოლუციური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვასთან ერთად ის უშუალო მონაწილეობას იღებდა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. მილიციის შენაერთები მამაცურად იბრძოდნენ იუდენიჩის კონტრრევოლუციური არმიის წინააღმდეგ პეტროგრადთან და შინაგანი კონტრრევოლუციისა და ეცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში წითელ არმიისა და საგანგებო კომისიის ნაწილებთან ერთად საბჭოთა მილიციამ დიდი მუშაობა გასწია პოლიტიკური ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა მილიცია აქტიურად მონაწილეობდა პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებაში და კლასობრივ მტრებთან — კულაკებთან ბრძოლის პარალელურად ენერგიული ღონისძიებებს ახორციელებდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ, დაუნდობლად ებრძოდა დმტაცებლებს, სპეკულანტებს, ხულიგნებს, ბავშვთა უნდედობდველობას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მილიციის თანამშრომლები ენერგიულად შრომობდნენ სამამულო ინდუსტრიის, ახალი ქალაქების შენებლობაში და პარტიულ აქტივისტებთან ერთად განმტკიცებდნენ პირველ კოლმეურნეობებს.

მილიციის მუშაკთა მძიმე, მაგრამ უაღრესად კეთილშობილური შრომა დიდად დაფასა პარტიამ და მთავრობამ. სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშავეთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის 1937 წელს მილიციის 73 თანამშრომელი დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის ორდენით“, ხოლო 260 მუშაკი „საპატიო ნიშნის ორდენით“.

ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში საბჭოთა მილიციამ სამამულო ომის ბრისხენე დღეებში, როცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის გარდა ის საბჭოთა არმიის ნაწილებთან და პარტიზანულ შენაერთებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში, მტრის მიერ გადმოსხმული დივერსანტების ლიკვიდაციაში, პასიორებისა და დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანძრების ჩაქრობაში, დაბომბვის შედეგების ლიკვიდაციაში, დაკარგული ბავშვებისა და ახლობლების დაძებნაში და სხვ.

სამამულო ომის პერიოდში მილიციის მუშაკთა მხედრულ შრომას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. ორ-ორი ორდენით დაჯილდოებულ იქნა მილიციის 200 ათასზე მეტი, ხოლო სამ-სამი ორდენით 70 ათასი თანამშრომელი. ამჟამად შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს საბჭოთა კავშირის 85 გმირი, მილიციის ორგანოებში კი — 19.

ომისშემდგომ წლებში პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა მილიციის ორგანოების ბრძოლისუნარიანობა. მილიციაში სამუშაოდ გაიგზავნენ სამამულო ომის ჭარ-ცეცხლში გამოწრთობილი კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მათ უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. კანონის დარღვევას, თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც ვერ უნდა ასაბუთებდნენ მათ, ვერ შეგურიგდებით“.

საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის საპროგრამო დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 ნოემბრის დადგენილება, რომელშიც მოცემულია საბჭოთა საზოგადოების გაგითარების პროცესების ღრმა მეცნიერული ანალიზი და გადაჭრილია საბჭოთა მილიციის ორგანოების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემები.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია მილიციის მუშაკთა სპეციალური განათლების დონის, კულტურის, შეგნებულობის, პროფესიული ოსტატობის მკვეთრად ამაღლება, მათ საქმიანობაში კრიმინალისტიკისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მართვის მეცნიერული მეთოდების ფართოდ გამოყენება.

ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან თითქმის ოთხმა წელმა განვლო. საბჭოთა მილიციის ცხოვრებაში ეს იყო დაძაბული შრომის, დაუღალავი სწავლის, მილიციის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიების, ორგანიზატორული საქმიანობის ძირეულად გარდაქმნის, მილიციის ორგანოების სტრუქტურის, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის პერიოდი.

განვლილმა დრომ ნათლად დაამტკიცა ამ დადგენილების ცხოველმყოფელი, გარდამქმნელი და ყეთილნაყოფიერი გავლენა საბჭოთა მილიციის ორგანოების მთელ საქმიანობაზე.

პარტიის XXIV ყრილობამ დაბეჯითებით მოითხოვა ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის, მილიციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება, დამნაშავეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორსაბითად გაძლიერება.

თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაზე პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წლითწლობით იკლებს დანაშაულის რაოდენობა. ასე, მაგალითად, 1972 წელს 1966 წელთან შედარებით დანაშაული შემცირდა 25,8 პროცენტით, განსაკუთრებით სამძიმე დანაშაული კი 18,3 პროცენტით.

მილიციის მუშაობის ძირითად მიმართულებას და მთავარ ამოცანას ყარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილება, პროფილაქტიკური ღონისძიებათა მაქსიმალური გატარება. ამჟამად ოპერატიული სამსახურისა და საზოგადოებრიობის შემოქმედების ყველა საშუალება მობილიზებული და მოქმედებაშია სწორედ ამ მიზნის მისაღწევად. მილიციის ყოველ მუშაკს ღრმად სწამს, რომ მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილება, დანაშაულის გამოწვევი პირობების და გარემოების ღრმად შესწავლა და განზრახული ბოროტმოქმედების ჩანასახშივე აღკვეთა მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, პროფილაქტიკა — შინაგან საქმეთა ორგანოების მოქმედების პარტიული მსოფლმხედველობისა და ოპერატიული საქმიანობის უმაღლესი ოსტატობის კრიტერიუმია.

კიდევ უფრო განმტკიცდა მილიციის კავშირი მოსახლეობის ფართო მასებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კოლექტივებთან. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა საერთო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ათასობით საზოგადოებრივი აქტივისტი ეხმარება მილიციას. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურ ძალას წარმოადგენენ **სახალხო რაზმელები,** რომელთა რიგებში ათასეულობით მოწინავე ადამიანია გაერთიანებული.

მოიძებნა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის ახალი საინტერესო ფორმები. მათ შორის აღსანიშნავია ჩვენს სამინისტროსთან არსებული **საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი,** მისი ფილიალები მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში. ერთობლივი მუშაობის სასარგებლო ტრადიციები ჩამოყალიბდა კომკავშირთან, სახალხო განათლებისა და კონტროლის ორგანოებთან.

სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ხულიგნების, უსაქმურებისა და პარაზიტული ცხოვრებისაგან მიდრეკილების მქონე პირთა წინააღმდეგ. ნიადაგი ეცლებათ ჯერ კიდევ მემორიენილ საქმოსნებს, კომბინატორებს, სახელმწიფო დოვლათის დამტაცებლებს. ეკონომიკურ ბრძოლაა გამოცხადებული და გარკვეული შედეგებიც მოპოვებულია ისეთ საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლაში, როგორიც არის გამომძალველობა და მექრთამეობა, სპეკულაცია და მომხეეტელობა.

ეს ბრძოლა შემდგომშიც დაუნდობელი და მკაცრი იქნება. საბჭოთა მილიცია მზად არის შეასრულოს პარტიის და ხალხის ყველა დავალება, მას შესწევს ძალა და გამოცდილება, აღკურვილია ბოროტებასთან კლასობრივი შეურიგებლობის ბასრი იარაღით, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს სოციალისტური საზოგადოებისათვის უკანო და მავნე დანაშაულებრივ ქმედობათა გამოვლინებებს.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მკვეთრად ამაღლდა მილიციის პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე, პროფესიული ოსტატობა და შრომის კულტურა. დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს იმათ მიმართ, ვინც არღვევს სოციალისტურ კანონიერებას, სამსახურებრივ დისციპლინას, უსულგულოდ ეკიდება მოქალაქეთა მოთხოვნებს და მთელი მონდომებით არ მუშაობს მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მილიცია პარტიულობისა და ხალხურობის ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით განუხრელად განაორციელებს ყველა ღონისძიებებს სოციალისტური ბრთლწესრიგის განსამტკიცებლად, ყოველთვის იქნება მუშათა კლასის რევოლუციური სულის გამომხატველი, სამართლიანობის, სიკეთისა და კეთილმოყვარეობის სანიმუშო მაგალითი. იგი თვალისჩინივით გაუფრთხილდება დიდი ოქტომბრის მონაპოვარს და მკერდით დაიცავს თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს, მის ღირსებას.

„კომუნისტი“

მე-2 გვერდი, პარასკევი, 1972 წლის 10 ნოემბერი.

ელექტრომკარედები საექსპორტოდ

ბაკო�ი. (საკ. კორ.). შორს გაითქვეს ხახელი ბათუმურმა ელექტროკარებმა. ახლა ისინი ათეულობით ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის აფრიკისა და არაბეთის ქვეყნებში. წელს აქაურმა ელექტროკარმა მსოფლიოს რამდენიმე გამოფენაზე მოიარა და ყველგან მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათ შორის მოსკოვის, ბუქარესტის, კაიროს, ბაზელისა და სხვა გამოფენებზე.

საწარმოს ერთსულოვანი კოლექტივი სახელმწიფო გეგმებს ვადამდე გადაჭარბებით ასრულებს. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით — 3,9 პროცენტით.

კოლექტივის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ხარატებს ა. კაკელიას, რ. ჯიბლაძეს, მღარავს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ბ. ქეფლიას.

ახლა ასობით ელექტრომექანიკოსი იღვწის, რომ ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

მ. გორგილაძე.

საქეცნიერო და საინჟინრო აზრის დიდი ნაყოფი

ნ. არეშანიკოვი.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სწავლული მდივანი, პროფესორი,

□

სორ ვ. ვ. სოლოდოვნიკოვის რედაქციით. მონოგრაფია ფუძემდებელი ნაშრომია ავტომატური მართვის დარგში და უნიკალურია საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურაში.

ქიმიმბმნიკის დარგში პრემია მიეკუთვნა სიკვდილის შემდეგ ვ. ტ. რეგეს — ტექნიკურ მეცნიერ, კოდელსატორმშენებლობის გამოჩენილ სპეციალისტს — ნაშრომთა ციკლისათვის „ელექტრული კონდენსატორები“ და „ორგანულიალექტროლიანი აფსკიანი კონდენსატორები“. ეს მონუმენტური და ჩვენს ქვეყანაში უნიკალური ნაშრომები გვაწვდიან ამომწურავ მონაცემებს კონდენსატორმშენებლობის ახალი, ყველაზე სრული სისტემატიკა, შექმნა სხვადასხვა სოკოვის სახეობათა კლასიფიკაციისა და გამოცნობის ეტაპები და პრინციპები. ამ ნაშრომების ფართო პრაქტიკული სარგებლობა მოაქვთ.

ფილოლოგიაში დიდი მოვლენა იყო იაპონურ-რუსული ლექსიკონის შექმნა ავტორთა ჯგუფის მეურ, რომელსაც გამოჩენილი საბჭოთა მკვლევარი აკადემიკოსი ნ. ი. კონრადი ხელმძღვანელობს. პრემიით აღინიშნული ეს ნაშრომი ყველაზე სრულია რუსული და საბჭოთა იაპონისტიკოვნების ისტორიაში.

პრემია მიენიჭა ა. ა. როდეს მონოგრაფიის „საფუძვლები მოძღვრებისა ნიადაგის ტენის შესახებ“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ნიადაგის კიდრულოგიის თეორია და მეთოდები. ნაშრომში განზოგადებულია საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა მიღწევები, ჩამოყალიბებულია თვით ავტორის გამოკვლევები ნიადაგის ტენის, მისი გადაადგილების კანონზომიერებათა შესწავლის დარგში, მოცემულია ნიადაგის ტენის ფორმების კლასიფიკაცია და მცენარეთათვის მისაწვდომი ფორმების დახასიათება.

აგტომატური რეგულირების თეორიაში უძვირფასესი წვლილია კაპიტალური მონოგრაფია „ტექნიკური კიბერნეტიკა. ავტომატური რეგულირების თეორია“. ეს ნაშრომი, რომელსაც მაღალი ჯილდო მიეკუთვნა, შექმნა ავტორთა კოლექტივმა აკადემიკოს ბ. ნ. პეტროვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ა. მ. ლეტოვის, ჯ. ს. პოსპელოვის, ჯ. ბ. პოპოვისა და სხვათა შემდგენლობით პროფესორ ვ. ვ. სოლოდოვნიკოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც შექმნა პირველი კლასის ჩამარსნული საბაზარო „ეუ-134“ თვითმფრინავი და მისი მოდიფიკაციები. ამ მანქანამ 1968 წელს მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც ნებას რთავს მის ექსპლოატაციას შეუზღუდველად ყველა საერთაშორისო ხაზზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა მ. ა. იურევსა და სხვა გემთმშენებლებს შერეული ცურვის (მდინარე — ზღვა) ახალი კლასის ბეგემების შექმნისა და სერიული გამოშვებისათვის. მსოფლიო პრაქტიკაში პირველად მათ შექმნეს მდინარე-ზღვის ხაზებზე მუშაობისათვის განკუთვნილი გემები.

ელექტრონული მრეწველობის დარგში პრემია მიეკუთვნა ი. რ. ნოსოვსა და სხვა ავტორებს ნახევარგამტარული ინპულსური დიოდებისა და დიოდური მატრიცების შემუშავების, მასობრივი წარმოების ტექნოლოგიის შექმნისა და სახალხო მეურნეობაში ფართოდ დანერგვისათვის.

ქიმანახშირის მრეწველობის მუშაკთა მიღწევები აღინიშნა პ. მ. ტრუხანისა და სხვა ავტორებისათვის პრემიის მიკუთვნებით. მათ შეიმუშავეს და დანერგეს ქვანახშირის მოპოვების მაღალეფექტიანი ტექნოლოგია ყარაგანდის აუზში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ფართო გადასვლა მაღალეფექტიან ვიწრომოსადებიან ტექნიკაზე.

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის დარგში პრემია მიენიჭა ა. ო. ასანურისა და სხვა ავტორებს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისა და დანერგვისათვის. ამან უზრუნველყო რთულ ბენზინრიგ-კალიმატურ პირობებში დასავლეთ ციმბირის ნავთობის საბადოთა გაბურღვის სწრაფი ტემპი და ახალი ნავთობმომპოვებელი რაიონის დაჩქარებული შექმნა.

პრემიით აღინიშნა ვ. ხ. ბოხდარენკოსა და სხვა ავტორთა შრომ

ბიბლიოთეკა

გარდაქმნათა დიდი პროგრამა

ხაზღვარგარეთის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ დიდი ოქტომბრის 55 წლისთავის დღესასწაულს საბჭოთა კავშირში. გაზეთები იუწყებიან, რომ მოსკოვში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, დაწვრილებით აშუქებენ სამხედრო პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე, დარბაზობას, რომელიც კრემლში გამართა სსრ კავშირის მთავრობამ დღესასწაულის გამო.

სოფია. ბულგარეთის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ დარბაზობაზე. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „რაბოტნიჩესკო დელო“ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს უდიდესი წვლილი შეაქვს სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების დიად საქმეში. გაზეთი აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვებს, სადაც ხაზგასმულია, რომ მტკიცე და ურღვევია საბჭოთის ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

პრაღა. ოქტომბრის ზეიმი საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის რადიოსა და ტელევიზიის, ცენტრალური გაზეთების მთავარი თემაა. „რუდე პრავო“ იტყობინება, რომ კრემლში გამართულ დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, და ხაზს უსვამს მის სიტყვებს, რომ საბჭოთა ადამიანები თავიანთ დიად დღესასწაულს შეხვდნენ დიდი გამარჯვებებით, რომლებიც დამჯერებლად მოწმობენ, რომ წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა დიდებული პროგრამა.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა იტყობინება, რომ კრემლში გაიმართა სადღესასწაულო დარბაზობა, და დაწვრილებით აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას, აღნიშნავს, რომ მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს იმ დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც მათ მოიპოვეს კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ვარშავის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ტრიბუნა ლუდუ“ აშუქებს ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანების მიღწევები იმის საწინდარია, რომ წარმატებით განხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა პროგრამა.

ვარშავა. პოლონეთის ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა. „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის მეოხებით სსრ კავშირმა მოიპოვა ახალი შესანიშნავი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ბუდაპეშტი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ჰეტფეი ჰირეკი“ იტყობინება, რომ კრემლში გაიმართა დარბაზობა, და რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით მადლობა გადუხადა მუშებსა და გლეხებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომელთა გარჯით და ნიჭით იქმნება საბჭოთა კავშირის ძლიერება.

სსრ კავშირის შექმნის მოახლოებულ 50 წლისთავთან დაკავშირებით, წერს „ჰეტფეი ჰირეკი“, ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დიდი წარმატებანი მოპოვებულია სსრ კავშირში შემავალი მოძმე ხალხების მჭიდრო თანამშრომლობის მეოხებით.

პარიზი. აღნიშვნით „სასწრაფო“ ფრანს პრესის საგენტომ გადმოსცა შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლისა დარბაზობაზე, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 55 წლისთავის გამო, საგანგებო აღნიშნავს, რომ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა კრემლში გამართულ დარბაზობაზე, საბჭოთა ადამიანები თავიანთ დიად დღესასწაულს შეხვდნენ დიდი გამარჯვებებით, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, რომ წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა დიდებული პროგრამა.

ბონი. ფრანგეთის „ფიგარო“ წერს, მოსკოვში გამართული ზეიმი ადასტურებს სსრ კავშირის მისწრაფებას მთავარი ყურადღება დაუთმოს „კომუნიზმის მშენებლობასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს“.

რომი. იტალიის კომპარტიის ორგანო გაზეთი „უნიტა“ აშუქებს მოსკოვში გამართულ საოქტომბრო დღესასწაულს და დაწვრილებით გადმოგვცემს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას დარბაზობაზე, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ გაართვა კრემლში ოქტომბრის წლისთავის გამო. გაზეთი ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მეოხებით საბჭოთამა ახალი შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

კრემლის ყრილობათა სასახლეში ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შინაარსს ბეჭდავენ აგრეთვე გაზეთი „მატინო“ და სხვა გამოცემები.

(საკდესი, 8 ნოემბერი).

10 ნოემბერი მსოფლიოს ახალგაზრდობის დღე

ახალგაზრდობის ზეიმი

ამ ნოემბერს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის შეხვედრა. ეს თარიღი შემთხვევით არ არის შერჩეული. ამ დღეს მსოფლიოს ჭაბუკები და ქალიშვილები ოცდამეშვიდედ იკრიბებიან და აღნიშნავენ ახალგაზრდობის დღეს.

„ჩვენ ავაშენებთ თავისუფალ მსოფლიოს, ჩვენ ვეჭდთ ჩვენს ერთობას!“ ეს სიტყვები გაისმა 27 წლის წინათ ლონდონში. მსოფლიოს 63 ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები შეიკრიბნენ იმ დღეებში ინგლისის დედაქალაქში, რათა შეექმნათ მასობრივი საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომელიც მტკიცედ დაიცავდა მთელი დედამიწის ახალგაზრდა თაობის უფლებებს, იბრძოლებდა მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, დემოკრატიისათვის. მას შემდეგ 10 ნოემბერი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დაბადების დღე, ყოველ წელს აღინიშნება როგორც სოჭაბუკის ზეიმი.

27 წლის განმავლობაში ამ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში. ამ ორგანიზაციის ინიციატივით დაიწყო საფესტივალო მოძრაობა. მომავალი წლის ზაფხულში ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება მორიგი X მსოფლიო ფესტივალი. მასპინძლებთან, გერმანიის ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად, ამ ფორუმისათვის აქტიურად ემზადება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია.

ამჟამად მთელ მსოფლიოში ფართოდ გაიშალა კამპანია „ახალგაზრდობა ნიღაბს ხდის იმპერიალიზმს“. გადაწყვეტილება ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ მიიღეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის VIII საიუბილეო ასამბლეაზე. დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანიზაცია ინიციატორია აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონებში ერთგული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებთან სოლიდარობის კამპანიისა.

საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები, ლენინური კომკავშირის აღზრდილები აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი ეხმარებოდნენ კუბელ თანატოლებს შაქრის ლერწმის აღებაში, მონაწილეობდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების საწარმოების მშენებლობაში. ახალგაზრდა საბჭოთა ექიმები დახმარებას უწევდნენ მიწისძვრისაგან დაზარალებულ პერუს მოსახლეობას და ვენეციის განთავისუფლებული რაიონების მცხოვრებებს.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მოსკოვის შეხვედრა კიდევ უფრო ამაღლებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტს.

ARCHEOLOGIA

ნაპოვნი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 18 საუკუნის წინ ძველი ეგვიპტის მმართველის ამონის პატივსაცემად აგებული ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს ტელ-მერედიკის რაიონში, რომელიც ხირიის ქალაქ ჰალების (ალეპოს) ახლოს მდებარეობს. ერთ-ერთ სამარხში ტაძრის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა იპოვეს სამსხვერპლო და რელიგიური კულტის სხვა საგნები, აგრეთვე ამონის გამოსახულებით დამშვენებული დიდი ქვის თასი.

ომის ეძო

35 ათასამდე აუფეთქებელი ბომბი, ნაღმი, ყუმბარა და ხელყუმბარა აღმოაჩინეს მარტო მიმდინარე წლის იანვრიდან სექტემბრამდე ვარშავის ტერიტორიაზე. ეს განუცხადა პრესის წარმომადგენლებს განალმვის ჯგუფის უფროსმა კ. ფილიპეკმა. მან აღნიშნა, რომ გულადი პოლონელი მესანგრეების მეოხებით წარსული ომის მოელი ეს მომაკვდინებელი „მემკვიდრეობა“ მთლიანად მოსპობილია.

რ. ლიკის ალმოჩენა

ამერიკაში აღმოაჩინეს ძველი ადამიანის ნაშთი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, დაახლოებით 2,5 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა. ეს განაცხადა კენიელმა მეცნიერმა რიჩარდ ლიკიმ ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოებისადმი მოხსენებაში, რომელიც აფიშირებს მის მეცნიერულ მუშაობას.

ლიკის — კენიის ეროვნული მუზეუმის დირექტორის თქმითა, უდაბნოში, რომელიც რუდოლფის ტბის აღმოსავლეთით მდებარეობს კენიაში, იპოვეს ძველი ადამიანის თავის ქალა და ფეხის ძვლები. როგორც ფიქრობენ, ისინი სულ ცოტა მილიონ-ნახევრით უფროსია იმ ნაშთებზე, რომლებიც დღემდე უპოვიათ, და მიაჩნიათ, რომ ისინი ეკუთვნიან პირველ ადამიანებს დედამიწაზე. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოება აცხადებს, ეს აღმოჩენა, თუ იგი დადასტურდა, მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს დღემდე არსებულ თეორიაში დედამიწაზე პირველი ადამიანის გაჩენის დროის შესახებ.

ატომური ბომბის მსხვერპლი

ჰიროსიმაში თავი მოიკლა 65 წლის სეკიო იდეგავამ. მან ვერ აიტანა ავადმყოფობა, რაც ჰიროსიმაში 27 წლის წინათ ამერიკული ატომური ბომბის აფეთქების დროს რადიაქტიური გამოსხივების შედეგი იყო. ამჟამად იაპონიაში ცხოვრობს 300 ათასი კაცი, რომლებიც დაზარალდნენ ამერიკის მიერ ატომური დაბომბვის შედეგად. მათ შორის 80 ათასი დაავადებულია სხვადასხვა უკურნებელი ხენთ.

ქოფაკი „ავადა“

განთქმული გადახრილი კოშკი იტალიის ქალაქ პიზაში „ავადა“ და მეტად სერიოზულადაც, განაცხადა პროფესორმა ლუმინმ, რომელიც მუშაობს ქალაქის არქიტექტურული ძეგლების დაცვის საკითხებზე. როგორც ცნობილი გახდა, პიზის კოშკის გადარჩენის სპეციალური კომისია ახლა სწავლობს წინადადებას, რომ... გადახრილი შენობა ლითონის ტროსით „მიაბაონ“ მეორე კოშკს, რომელიც უნდა აშენდეს ამავე მოედანზე.

ატომური ბომბის მსხვერპლი

ჰიროსიმაში თავი მოიკლა 65 წლის სეკიო იდეგავამ. მან ვერ აიტანა ავადმყოფობა, რაც ჰიროსიმაში 27 წლის წინათ ამერიკული ატომური ბომბის აფეთქების დროს რადიაქტიური გამოსხივების შედეგი იყო. ამჟამად იაპონიაში ცხოვრობს 300 ათასი კაცი, რომლებიც დაზარალდნენ ამერიკის მიერ ატომური დაბომბვის შედეგად. მათ შორის 80 ათასი დაავადებულია სხვადასხვა უკურნებელი ხენთ.

ქოლერა სუმატრაში

თითქმის 750 კაცი შეეწირა ქოლერას წელს მარტო ინდონეზიის ერთ პროვინციაში — სამხრეთ სუმატრაში. სულ 1972 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე ქოლერითა ინდონეზიაში 2 ათასზე მეტი კაცი დაიხოცა.

ᲤᲐᲥᲩᲔᲑᲘ

● ირანი განაბრძობს ღონისძიებებს მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების უზრუნველყოფისათვის, განაცხადა ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა პერსეპოლეში.

შეეხო რა ქვეყნის განვითარების ახალ ხუთწლიანი გეგმის საკითხებს, შაჰმა აღნიშნა, რომ ხუთწლეულში საერთო ეროვნული პროდუქტი ერთიორად გაიზრდება. ირანი სულ უფრო გაადიდებს ნავთობისა და გაზის ექსპორტს. სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ყურადღება დაეთმობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციას და უახლესი აგრონომიული მეთოდების გამოყენებას.

● ბოგიოს „კეიზრ“ უნივერსიტეტის ასზე მეტმა სტუდენტმა მოაწყო დღეს მჯდომარე გაფიცვა სასწავლო კლასებში შესასვლელის წინ, რითაც პროტესტი განაცხადა უნივერსიტეტის ხელისუფალთა იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ 30 პროფესორი გადიდონ სწავლის ქირა.

● საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ე. ა. ფურცევას მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა აქ მიმდინარე საბჭოთა კულტურის დღეებში, ეწვია კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. სტუმრები შეხვდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრს სესუს მონტანეს, კულტურის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს ლუის პაგონ ტამაიოსა და სხვა ოფიციალურ პირებს. გამართული საუბრის დროს მხარეებმა განილიეს ორი ქვეყნის კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხები.

● პუერტო-რიკოს გუბერნატორის არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა რაფაელ ერნანდეს კოლონმა. მან აჯობა ახლანდელ გუბერნატორს, ახალი პროგრესული პარტიის წარმომადგენელ ლუის ფერეს 100 ათასი ხმის უპირატესობით.

ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, რომელმაც 1952 წელს ლათინური ამერიკის ამ პატარა ქვეყანას თავს მოახვია ევრეთწოდებული „თავისუფლად შეერთებული სახელმწიფოს“ სტატუსი, ძირითადი საკითხი იყო პუერტო-რიკოს ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიის საარჩევნო პლატფორმებში, რომლებიც წინა საარჩევნო მანეკვრირებისა და მრავალრიცხოვანი დაპირებების საშუალებით ცდილობდნენ გადაებირებინათ ამომრჩევლები.

● რომში, „ოლიმპიკოს“ თეატრში დაიწყო საბჭოთა ბალეტის მსახიობთა გასტროლები. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოსვლათა პროგრამაში შეტანილია რუსი და საბჭოთა კომპოზიტორების ბალეტების ნაწყვეტები.

ᲤᲐᲥᲩᲔᲑᲘ

ბერლინი

მშვიდობის უზრუნველსაყოფად

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება

9 ნოემბერი. (საკდესი). ადნის საგენტომ გაავრცელა შინაარსი ბონში პარაფირებული ხელშეკრულებისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ.

ხელშეკრულებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ, რომელიც პრეამბულისა და ათი მუხლისაგან შედგება, ხაზგასმულია, რომ ორივე სახელმწიფო თავის მოქმედებაში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მისწრაფებას, რომ შეიტანოს წვლილი ევროპაში დაძაბულობის შენელებასა და უშიშროების უზრუნველყოფაში და ისტორიულად შექმნილ პირობებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „ამყარებენ ერთმანეთთან ნორმალურ კეთილმეზობლურ ურთიერთობას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე“, ნათქვამია პირველ მუხლში. მეორე მუხლში ორივე სახელმწიფო „აღასტურებს მათ ტერიტორიულ ერთიანობასა და ხელშეუხებლობას, ადასტურებენ, რომ „ისინი მძიმედ დაზარალებულ ერების ორგანიზაციის წევრებიანი, ერთმანეთისადმი ჰამოყალიბებული მიზნებითა და პრინციპებით, კერძოდ, ყველა სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის, დამოუკიდებლობის, თავისთავადობისა და ტერიტორიული მთლიანობის, თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დისკრიმინაციაზე უარის თქმის პრინციპებით“.

ხელშეკრულების მესამე მუხლი გასაზღვრავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „ერთმანეთს ურთიერთობენ, როგორც ორი ერის ორგანიზაციის წევრები, ერთმანეთს ეპყრობიან ერთმანეთის სფერომი ან მოქმედებენ მისი სახელით“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხელს შეუწყობენ მშვიდობიან ურთიერთობას ევროპის სახელმწიფოთა შორის და თავიანთ წვლილს შეიტანენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე მხარს დაუჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სულისკვეთებით. ორივე სახელმწიფო „ადასტურებს მათ შორის არსებული საზღვრის ურღვევობას დღეისათვის და მომავლისათვის და „კისრულობს ვალდებულებას უყოყმანოდ სცეს პატივი ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას“. ხელშეკრულების პრეამბულაში ამის გამო აღნიშნულია, რომ „ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობა და მათი ახლანდელი საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დისკრიმინაციაზე უარის თქმის პრინციპებით“.

ხელშეკრულების მესამე მუხლი გასაზღვრავს, რომ „არც ერთი სახელმწიფო ორიდან არ შეიძლება წარმოადგინდეს მეორეს საერთაშორისო სფეროში“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხელს შეუწყობენ მშვიდობიან ურთიერთობას ევროპის სახელმწიფოთა შორის და თავიანთ წვლილს შეიტანენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე მხარს დაუჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სულისკვეთებით. ორივე სახელმწიფო „ადასტურებს მათ შორის არსებული საზღვრის ურღვევობას დღეისათვის და მომავლისათვის და „კისრულობს ვალდებულებას უყოყმანოდ სცეს პატივი ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას“. ხელშეკრულების პრეამბულაში ამის გამო აღნიშნულია, რომ „ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობა და მათი ახლანდელი საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დისკრიმინაციაზე უარის თქმის პრინციპებით“.

ხელშეკრულების მესამე მუხლი გასაზღვრავს, რომ „არც ერთი სახელმწიფო ორიდან არ შეიძლება წარმოადგინდეს მეორეს საერთაშორისო სფეროში“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხელს შეუწყობენ მშვიდობიან ურთიერთობას ევროპის სახელმწიფოთა შორის და თავიანთ წვლილს შეიტანენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე მხარს დაუჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სულისკვეთებით. ორივე სახელმწიფო „ადასტურებს მათ

ხელშეკრულების დამდები მხარეები „ემყარებიან პრინციპს, რომ ორიდან თვითეული სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება იფარგლება მისი სახელმწიფოებრივი ტერიტორიით. ისინი პატივს სცემენ ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას საშინაო და საგარეო საქმეებში“.

ხელშეკრულების მეშვიდე მუხლი ითვალისწინებს თანამშრომლობის განვითარებას, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ტრანსპორტის, სამართლებრივი ურთიერთობის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვისა და სხვა დარგებში.

ორივე მხარე გაუცვლის ერთმანეთს შუამდგე წარმომადგენლობებს, რომლებიც დაფუძნდებიან შესაბამისი მთავრობის ადგილსამყოფელზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეთანხმდნენ, რომ „ეს ხელშეკრულება არ ეხება მათ მიერ ადრე დადებულ ხელშეკრულებებს ან ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს მათ შესახებ“.

დასკვნით მუხლში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა შესაბამისი ნოტების გაცვლის მეორე დღეს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

9 ნოემბერი. (საკდესი). ბონის დათვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება, მაგრამ მან ვერ შეიტანა არსებითი ცვლილებები პრეზიდენტის არჩევნების შედეგებში, ვერ მოახდინა გავლენა რ. ნიქსონის გამარჯვებაზე.

წინასწარი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია საარჩევნო უბნების 99 პროცენტიდან, რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა მიიღო 46.810 ათასი ხმა (61 პროცენტი), დემოკრატთა კანდიდატს სენატორ ჯ. მაკგოვერნს ხმა მისცა 28.400 ათასმა ამომრჩეველმა (38 პროცენტი), უკიდურესი მემარჯვენე „ამერიკის დამოუკიდებელი პარტიის“ წარმომადგენელმა შმიცმა მიიღო 1 მილიონზე ცოტათი მეტი ხმა (დახლოებით ერთი პროცენტი).

პრეზიდენტის არჩევნებთან ერთდროულად გამართულ კონგრესის არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ შეინარჩუნა თავისი უმრავლესობა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატაში. სენატში დემოკრატების წარმომადგენლობას შეემატა ორი ადგილი და ახლა მათ ჰყავთ 57 სენატორი, რესპუბლიკელებს — 43.

წარმომადგენელთა პალატაში, თუმცა წინასწარი მონაცემებით რესპუბლიკურმა პარტიამ შეძლო მიიღო 12 ადგილით მეტი, დემოკრატები მაინც ინარჩუნებენ უმრავლესობას. მათ ეკუთვნით 243 ადგილი, რესპუბლიკელებს — 191 და დამოუკიდებლებს — ერთი ადგილი.

გუბერნატორთა არჩევნების შედეგად დემოკრატებს გუბერნატორის პოსტები უკავიათ 31 შტატში, რესპუბლიკელებს — 19-ში. აქ დემოკრატებმა რესპუბლიკელებს წაართვეს ერთი ადგილი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ ᲡᲐᲔᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲚᲘ

9 ნოემბერი. (საკდესი). ბუშინ პაკისტანმა გამოაცხადა, რომ გადის ს

საქართველოს ქალაქებში

რუსთავი



გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე

შენდება კურორტი

ბუშავეს გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის გეგმა.

რით მიიპყრობს რუსთავის მთა მნახველთა ყურადღებას? გაიყვანენ საჰაერო-საბაგრო გზას, რომელიც 10 კილომეტრით შეამცირებს მანძილს რუსთავიდან კურორტამდე. მეტალურგების, ქიმიკოსებისა და მშენებლებისათვის აიგება ოთხი პროფილაქტორიუმი, რომლებშიც 1.000-ზე მეტი კაცი დათვალებს ერთდროულად.

დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება აგრეთვე კინოთეატრი 800 კაცისათვის, კულტურის სახლი, 25.000 კვადრატული მეტრი ფართობის ხელოვნური ტბა, მავზილეონები, რესტორანი, სპორტული მოედნები. აქვე მოწინავე მუშებს გამოუყოფთ საკარმიდამო ნაკვეთები.

კურორტის მშენებლობა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და დამთავრდება მიმდინარე ხუთწლეულში. იგი დაჯდება 4 მილიონი მანეთი. დამკვეთთა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ხოლო მშენებელი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი.

„ქიგულები" რუსთავიდან

რუსთავის გზაზე

თბილისისაკენ მიმავალ გზაზე თითქმის განუწყვეტლივ ნაკადად მიემართებიან „ყიგულის" ტიპის უნომრო მანქანები — ეს-ეს არის მოქალაქემ შეიძინა მსუბუქი. მანქანა და გასარგებლიანი მიეშურება სახლისაკენ...

„ყიგულის" გასაყიდი ბაზა რუსთავშია. კლიენტს აქ შეუძლია მიიღოს მისთვის განკუთვნილი მანქანა, რომელსაც სახელმწიფო ეაჭრობა ჰყიდის.

შარშან რუსთავის ბაზიდან 3.000 „ყიგული" შეიძინეს საქართველოს მშრომელებმა. წელსაც ამდენივე რაოდენობის მანქანებს მიიღებენ მყიდველები.

ლიტერატურული ალმანახები

მრავალი ლიტერატორი მუშაობს რუსთავის სამრეწველო საწარმოებში. ისინი წერენ ლექსებს, მოთხრობებს, პოემებს, რომანებს, რომლებშიც ასახავენ ქართველი მეტალურგების, ქიმიკოსების, მშენებლების საგმირო საქმეებს.

მუშა პოეტების საქმიანობას წარმართავს ლიტერატურული გაერთიანება, რომელიც აქ ორი ათეული წელია არსებობს. ლიტერატურულმა გაერთიანებამ დღისათვის შეძლო გამოეცა ოთხი ალმანახი: „რუსთავის ჩირაღდნები", „მზე შინა", „შოთაის მიწის ლხენამ", „ირსება მისი გრძელია".

ამჟამად ლიტერატურული გაერთიანება გამოსაცემად ამზადებს რიგით მეხუთე ალმანახს.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ვინ იცნობდა ირინე სხირტლაძეს?

ქალაქ ვაქვეყნებთ წერილს პოლონეთში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ 1944 წლის 14 სექტემბერს გმირულად დაღუპულ 16 წლის ქართველ გოგონა ირინე სხირტლაძეზე. ირინე 1944 წლის ვარშავის ცნობილი აჯანყების მონაწილეა. როგორც მისი თანამებრძოლი ვ. სამპერ-გლუშჩინსკა აღნიშნავს, ირინე აჯანყებაში ჩაება მისი დაწყების პირველსავე დღეებში და ბოლომდე იბრძოდა პოლონელ პატრიოტებთან ერთად მტრის წინააღმდეგ, ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისათვის იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მამაცობის ჯვრით.

პირველად ირინე სხირტლაძეზე წერილი „კომუნისტის" 1969 წლის 13 სექტემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ. მაშინ პოლონელმა ქართველოლოგმა **იან ბრაუნმა** მოგვაწოდა ცნობა პოლონეთის განთავისუფლებისათვის დაღუპულ ქართველ გოგონაზე.

გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა „კომუნისტის" მკითხველთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მივიღეთ უამრავი გამოხმაურება. ჩვენს მკითხველებს აინტერესებდათ შეეტყოთ, საიდან მოხვდა ირინე პოლონეთში, ვინ იყვნენ მისი მშობლები. ჩვენი წერილის საფუძველზე ვარშავის გაზეთმა „ექსპრეს ვეჩერნიმ" 1970 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ვინ იცნობდა ირინე სხირტლაძეს". ამ წერილს გამოესმაურა ირინეს თანამებრძოლი ვ. კამპერ-გლუშჩინსკა, რომელმაც მისწერა გაზეთს თავისი მოგონება ირინეს დაღუპვის შესახებ. ჩვენ ამ წერილის თარგმანიც გამოვაქვეყნეთ „კომუნისტის" 1971 წლის 27 იანვრის ნომერში.

ირინე სხირტლაძის ხსოვნას მგზნებარე ლექსი მიუძღვნა პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა, თავის პოემაში „ჯაჭვის თორნი". პოეტი ერთ თავს უძღვნის პოლონეთში დაღუპული ქართველი გოგონას ხსოვნას „ირინოლა".

... მიწა დასწვეს იმის ცოდვით,
ზეცა გაახირომეს,
ვინ იცნობდით,
ვინ იცნობდით,
ვინ იცნობდით ირინეს...
მხოლოდ ცეცხლში,
მხოლოდ ცეცხლში,
ცეცხლში გამოიცადა,
პოლონეთში, პოლონეთშიც
საქართველოს იცავდა.
აჯანყდა და მტერი ხოცა
ბინად ჰქონდა სანგარი,
საქართველოვ,
შენ ვინ მოგცა —
შვილი დასაკარგავი".

ქართველმა მეცნიერმა გიორგი გაჭარავამ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა ირინე სხირტლაძე გორის რაიონიდან ან თვით გორიდან, რომელიც პოლონეთის ავიაციაში მსახურობდა. ის დაღუპულა 1939 წლის სექტემბერში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრძოლის დროს. დანამდვილებით ცნელია იმის დადგენა, ეს სხირტლაძე იყო თუ არა ნამდვილად ირინეს მამა, მაგრამ ვარშავაში მის გარდა არავინ ყოფილა სხვა სხირტლაძე. რაც შეეხება ირინეს დედას და დას, მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

იანის ცნობასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ჩვენს გაზეთში 1971 წელს შემოსული წერილი, სადაც უცნობი ავტორი გვატყობინებს, რომ ირინეს მამა, თუ არ ვცდები უნდა ყოფილიყო არკადი სხირტლაძე. იგი გორიდან იყო, მისი მშობლები გორის სადგურთან ცხოვრობდნენი.

არკადი სხირტლაძე ახალგაზრდობის წლებში ბედის უკუღმართობას გადაუხვეწია სამშობლოდან პოლონეთში. იქ სწავლობდა ავიაციის სკოლაში და მსახურობდა პოლონეთის ჯარში. წერილის ავტორი თავად მეხვედრია არკადი სხირტლაძეს პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლეიტენანტი ყოფილა, უცოლო. ამ წერილის შინაარსი ემთხვევა პოლონეთში მცხოვრები ქართველი მოხუცის მონათხრობს.

ახლა გადმოგცემთ იან ბრაუნის მიერ გამოგზავნილი ვესლავ კამპერ-გლუშჩინსკას, რომის პარტიზანული ფსევდონიმია „სლავკა", წერილის მოკლე შინაარსს, წერილისა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ტიგოდნიკ კატოლიეკის" 1968 წლის 15 სექტემბრის ნომერში.

„...დაბინდდა. გამოჩნდა თვითმფრინავები („კუკურუზნიკები"), რომლებიც აჯანყებულებს ამარაგებდნენ პროდუქტებით და ტყვია-წამლით. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტები მათ დიდ ცეცხლს უმართავდნენ, მფრინავები მაინც ახერხებდნენ დაბლა ფრენას. აი თვითმფრინავი სულ დაბლა დავშვა, თითქმის ზედ ბალახზე, ბალახი ფრენისგან ირხეოდა. ... ბოლოს ერთ-ერთ ასეთ ფრენაზე ერთ-ერთ ბიჭს ბალახი ... ...